სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., თ.-აზნაურო ქარვასლა
ხელის-მომწერნი გაზეთის დახაკვე-თ მიმართავენ რედაქციის დილის -3 საათამდე და საღამოს 6—7 „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიის.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირ-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან.,—ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели"
тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363



წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 5 მან.,

გამოვიდა და ისყიდება მეოთხე სურათებიანი გამოცემა ძმათა თავართქილაძეების წიგნის მაღაზიისა
„სახელმძღვანელო"
სამღვთო სჯულის სასწავლებლად საერო და სამრევლო სკოლების მოწაფეთათვის
შედგ. მღვ. ნ. ყუბანეიშვილის მიერ
ფასი ყდით 30 კაპ.
ცალკე თითო კაპეიკი გადიდება სვეტი-ცხოვლის ტაძრის შესაკეთებელ ფონდისათვის. (20—18)

დიმ. კონსტ.-ძე ერისთავი
(ოქრომჭედლების ქუჩა, სახ. თულაევის № 40.)
სადოსტაქარო (ხირურგ.) სნეულებანი—
იღებს ავადმყოფებს—დილის 10—1 საათამდის.

Докторъ Д. К. ЭРИСТОВЪ
(Серебрянны рядъ д. Тулаева, № 40). (10—8).

ქ. ქუთაისი
ექიმი
ნ. გ. ჭიჭინაძე
იღებს ავადმყოფებს
დილის 9—11 საათამდე
და საღამოს 4—6 საათ.
ლევაშოვის ქუჩა პ. ხარაზოვის სახლი № 13.
ДОКТОРЪ Н. Г. ЧИЧИНАДЗЕ
Кутаисъ „Левашеская ул. № 13.

ექიმი
კ. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.
მიხეილის ქუჩა, № 16.
Докторъ К. М. Чиковани
Михайлов., № 16.

ვიღებთ სწორეთ იმ ფირმებიდამ და ისეთივე საიმედო, როგორც წარსულ წლებში, ბაღდადების და მგრობიული ჯიშისა დიდი მაღლი აბრეშუმის თესლი. მსურველთ შეუძლიანთ მოგვმართონ ჯერ-ჯერობით: ოზურგეთში, ახალსენაკში და ბათუმში ჩვენს წიგნის მაღაზიებს, რომლებთაც დაეთმობა ძლიერ იაფად. საიმედო პირს ვაძლევთ ნისიათაც. ამასთანავე ვყიდით სულ მცირე ფასათ ბჟოლის ნერგს და წიგნაკებს აბრეშუმის მოვლა მოშენებაზე.
(20—7) ძმ. თავართქილაძეები.

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ზ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ზ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. კ. გერრატი. დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ფ. ბაცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. კ. მარშავსკი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ზ. თოფურია
*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.


## კანონი და მთავრობის განკარგულებანი.

ქართლ-კახეთის საეპარქიო მთავრობის განკარგულებანი.

გადაყვანილი არიან: ეკკლესიების მღვდლები: ქვეშის წმ. ნიკოლოზისა ვასილი კაპანაძე და ხორხელის წმ. გიორგისა ბართლომე გოგოლაძე—ერთმანეთის ადგილს, უკანასკნელი მთავრობის განკარგულებათა აუსრულებლობისთვის, ორივე 1 თებერვალს.

შტატ გარეშე დათხოვნილ არს ისროლისხევის სამრევლოს მედავითნე დავით გაბარაშვილი მოხუცებულობისა გამო, თხოვნის თანახმად,—29 იანვარს.

გამორიცხულ არს სიებიდამ ხოვლის იოანნე ნათლისმცემლის ეკკლესიის მღვდელი გრიგოლ კავსაძე, გარდაცვლილი 24 იანვარს.

ნაბედრენნიკით დაჯილდოებულ არს მცხეთის საკრებულო ტაძრის მღვდელი პლატონ ხუროშვილი—ტფილისის სასულიერო სემინარიის ეკკლესიაში ღვთის მსახურების დროს, 31 იანვარს 1899 წელსა.

ხაშმის ეკკლესიის წინამძღვრად ნამყოფი ბლაღოჩინი ლეონ ბაქრაძე, უწმიდეს სინოდის 23 ქრისტეშობისთვიდამ 1898 წლ. მე-7602 ნომრით ბრძანების თანახმად, აღკვეცილ იქმნა ყოვლად უსამღვდელოესის ლეონიდის მიერ 23 იანვარს 1899 წ. ბერად და სახელად ლეონტი ეწოდა და 24 იანვარს მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსის მიერ, აღყვანილ იქმნა არხიმანდრიტის ხარისხზედ, და 1 თებერვალს დანიშნულ იქმნა ქართლ-კახეთის ეპარქიის მონასტრების ბლაღოჩინად.

# ახალი ამბავი

*** ქალაქის წესდებათა ცვლილება ამიერ-კავკასიაში. გუშინდელ „კავკაზში" ფრიად საყურადღებო დეპეშაა დაბეჭდილი პეტერბურგიდან: საშინაო საქმეთა სამინისტროში აღძრულია თურმე კითხვა, იმის შესახებ, რომ აწინდელი წესდებანი ქალაქის თვითმართველობისათვის შეიცვალოს ადგილობრივი ცხოვრების და გამოცდილების კვალობაზედ.

*** საქველ-მოქმედო წარმოდგენა ქართული თეატრისათვის. წელსაც როგორც შარშან ჩვენი ქველ-მოქმედი და პატივცემული კნეინა ნინა დავითის ასული ჩოლოყაშვილისა სახაზინო თეატრში ჰმართავს საქველ-მოქმედო წარმოდგენას ქართული დრამატიული საზოგადოების თანხის სასარგებლოდ.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ სცენის მოყვარენი. რეპეტიციები უკვე დაუწყიათ და ბილეთებიც იყიდება. წარმოდგენა ფრიად საინტერესო იქნება. ეჭვი არ არის ქართველობა ჩვეულებრივის გულ-მხურვალებით მიეგებება ამ წარმოდგენას და მით სახსარს გაუჩენს ჩვენს ეროვნულ თეატრს.

*** თავ. კონსტანტინე მუხრანბატონს, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს, ბედნიერება ჰქონია 16 მარტს ენახა ხელმწიფე იმპერატორი.

*** სახლების მშენებელი საზოგადოება. როგორც იუწყება პეტერბურგის სახლთა მშენებელი საზოგადოება ტფილისშიაც გამართავს თურმე თავის განყოფილებას და ამ მოკლე ხანში დაიწყებს საქმის წარმოებასო.

*** წერილი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოეს ფლავიანეზე. გუშინდელ სანკტ-პეტერბურგის უწყებაში (С.-Петер. Вѣд.) № 69-ში და-

ბეჭდილია მშვენიერი წერილი საქართველოს ეგზარხოსს ყოვლად უსამღვდელოეს ფლავიანეზე.

*** **ახალი დანიშნულება.** „ნოვ. ობ.“ დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდან ტფილისის სამოსამართლო პალატის დეპარტამენტის თავმჯდომარედ თავ. ნ. ჭავჭავაძის მაგიერ დანიშნულია სამარის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე პეტროპავლოვსკი.

*** **25 წლის თავი სამასწავლებლო სემინარიისა.** რადგან ამიერ კავკასიის საოსტატო სემინარიას მალე შეუსრულდება 25 წელი თავის დაარსებიდან, ამიტომ ამ სემინარიის დირექტორს სხვა-და-სხვა კითხვები დაუგზავნია ამ სემინარიის ყოველ მოსწავლეთათვის. პასუხები ამ კითხვებზე უნდა იქმნას გამოგზავნილი არა უგვიანეს 1 მაისისა.

*** **რკინის გზის მიმოსვლის დრო-ჟამის შეცვლა.** ჩვეულებისამებრ რკინის გზის სამიმოსვლო დრო-ჟამი საზაფხულოდ შეიცვლება ხოლმე. ეს ცვლილება მოხდება თურმე მაისის ექვსიდან.

*** **ტფილისის საზოგადო სამეურნეო ბანკის ანგარიშის შესახებ.** არც ერთი საზოგადო საქმე დაწესებულა ჩვენში, რომ გალების უმალ რაღაც სიმშურე, რაღაც ბრუნდე თვალი არ დაჰყვეს ხოლმე ყოველ მხრივ. მის ნაცვლათ, რომ ახალ საქმეს აღმოუჩინონ: თანაგრძნობა და ერთგულება, მოჰყვებიან მითქმა მოთქმას მის და დასამხობათ, მაგრამ დახვდებათ ხოლმე ისეთი გამგებელნი, რომ დაიჭერენ ხელში ერთგულ მეცადინეობით მოქარგულ დოროშას და მიაბიჯებენ მეღლდრ ნიადაგისაკენ. სწორედ ასე შეემთხვა ჩვენ სამეურნეო ბანკს; დაარსდა თუ არა, მოჰყვა ზედ იქვე მითქმა მოთქმა და თითქო სიმშურეცა. მე, სწორედ მოგახსენოთ, ჯერ მეგონა იქნება ამას იმისთვის სჩადიან, რომ გამგეობა ფხიზლათ იყოს მეთქი, მაგრამ მოვტყუვდი, რადგამ ეხლა ვხედავ, რომ გაჩუმებულან და ზოგიერთ მათ არც-კი ესიამოვნებათ მისი ასე წინ მსვლელობა, მის ნაცვლათ, რომ ანგარიშის გადაშინჯვის გამო გაიხარონ.

დიახ, სწორედ სასიხარულოა, რადგან ასე კარგათ მიჰყავთ საქმე სამეურნეო ბანკისა გამგეობას, როს გადაათვალიერებ ანგარიშს 1899 წლისასაც. რომელ ანგარიშსაც არ აიღებთ ყველას წარმატება ერთი-ორათ ეტყობა წლის განმავლობაში. წევრებს შესანიშნათ უმატნიათ, ნდობაში თავისაგან ფულის მქონეთაგან მოუპოვებიათ 123039 მან. 69 კაპ. მეტისა შარშანდელზედ და აგრეთვე გაუციათ კიდეც 85147 მან. 19 კაპ. მეტი შარშანდელზედ და მერე ისეთებზედ, რომელთაც პირიანათ ჩაუბარებიათ ყველას გარდა 125 მან. და მერე 400225 მან. თამასუქებით გაცემულში, ეს ისეთი მცირედია, რომ სახსენებელი არც-კია და ხალასი მოგებაც 4432 მან. 9 კაპ. მეტია შარშანდელზედ.

აი სწორედ ამაშია გამგეობის გონივრული მმართველობა, რომ სულ დარჩეულ პირიან პირებზედ გასცენ ფული და არა დაჰკარგონრა სიმაგრეც ეს არის საურთიერთო ბანკისა.

ს.

*** **ფოთი. საურთიერთო ბანკის წლიური კრება.** 14 მარტს ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა წლიური კრება იყო დანიშნული გამგეობის დარბაზში. სულ 79 წევრი გამოცხადდა. კრება დაიწყო დილის 12 საათზედ. ერთ-ხმად ბ-ნი ნ. ნიკოლაძე იქმნა არჩეული კრების თავმჯდომარედ კრებას მოჰხსენდა 1898 წლის ანგარიში ბანკისა და სარევიზიო კომისიის შენიშვნები მოგებ-წაგების შესახებ, რომელმაც მსმენელთ ნათლად დაუსურათ-ხატა ბანკის საქმეების მიმდინარეობა. ანგარიშის წაკითხვისა და სარევიზიო კომისიის შენიშვნების მოსმენის შემდეგ, თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, რომ სარევიზიო კომისია ღირსია მადლობისა, რადგან მას არც ერთი მუხლი ანგარიშისა შეუნიშვნელად არ დაუტოვებია და ამავე მიზეზით ჩვენც სავსებით დარწმუნებული ვართ, რომ ბანკში არავითარი ბოროტ მოქმედება არა ყოფილა და თუ საქმე ასე შეფერხებულია, ეს იმას მიეწერება, რომ უმთავრესი დარგი ჩვენის ცხოვრებისა, რომელზედაც დამოკიდებულია ჩვენის ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა და განსაკუთრებით ამ ბანკისა, დაეცაო. იმის შემდეგ, რაც სიმინდმა, ღვინომ და სხვამ მოსავალმა იკლო და მაზანდა დაჰკარგა, აღებ-მიმცემობაც შეფერხდა, მაგრამ ამ შეფერხებამ ბანკში უფრო იჩინა თავი, რადგან ბანკის უმთავრესი მასაზრდოებელი წყარო სიმინდი იყო და მასთან შავი ქვაც, რის დაგირავებაც ფულის გაცემა წარსულმა კრებამ უარ-ჰყოფო. დღეს, როდესაც ბანკის საქმე სულ სხვა გარემოებაშია, ძველმა გამგეობამ თავისი თავი არ სცნო იმდენად მომზადებულად, რომ ამ საქმეს ღირსეულად გასძღოლოდაო. რათა ბანკის საქმეები უკეთ მოაწყოს, ძველი გამგეობა თავისის სურვილით თავს ანებებს თანამდებობას და ახალ ჭირისუფალს უთმობს ალაგს. ასეთი არა-ჩვეულებრივი მოვლენა ჩვენში სასიამოვნოდ უნდა ჩაითვალოს. თუ ეხლა ბანკს კარგად მომზადებულ და მცოდნე ადამიანთ ჩავაბარებთ, საზოგადოების საქმე ისევ თავისებურ სავსე კალაპოტში ჩადგებაო.

**გამგეობის თავმჯდომარე ა. ალანია.** მართალია ბანკის საქმე შეფერხებულია, რომლის ბრალსაც ჩვენა გვდებს ბ–ნი მოსეშვილი, მაგრამ არც ისეა საქმე, რომ იმის ფეხზედ წამოყენება არ შეიძლებოდეს. ბანკმა თუ წააგო, აქ გამგეობა არაა დამნაშავე: ამ რამდენისამე წლის განმავლობაში საზოგადოდ ყველა ვაჭრებმა, რომელნიც კი ჩვენის საზოგადოების წევრად იყვნენ, იზარალეს, რადგანაც სიმინდის და ღვინის მოსავალმა იკლო და მაზანდამაც დაიწია. ამასთან შავი ქვის წარმოებაც დაეცა. მე თუმცა კანონით კიდევ ვალდა მაქვს ბანკის მმართველობის თავმჯდომარედ ყოფნისა, მაგრამ თავს ვანებებ, რადგან ბანკის საქმეს თანამედროვე ცხოვრების შესაფერად სულ სხვა მცოდნე კაცი უნდა, რომ ამ საქმეს სათავეში ჩაუდგეს და წინ გაუძღვეს.

წარსულის წლის ანგარიში და მომავალის წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შემდეგ არჩევანებს შეუდგნენ. ძველის გამგეობის ნაცვლად, რომელმაც, როგორცა ვთქვით, თვითონ დაანება თავი სამსახურს, აარჩიეს ახალი გამგეობა. თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა თავადი ან. ერისთავი. დირექტორებად ერთ ხმადვე: ა. დ. გუგუშვილი, პ. სამანჯი და ბ სტავრიდი. საბჭოს წევრებად 12 კაცი აირჩიეს, ხოლო სარევიზიო კომისიისა—5 კაცი.

*** **ქუთაისი. ცეცხლის წაკიდება.** 14 მარტს, ღამის 3 საათზე დიდ გემნაზიასთან ვიღაც ბოროტ-გამზრახველმა ცეცხლი წაუკიდა სოლომონ გურგენიძის ხე-ტყის საწყობს, რომლიდანაც იქვე გვერდით გადავიდა ცეცხლი ებრაელის ბოტონა კაკიტელაშვილის ხე-ტყის საწყობზე, რომლებიც სრულიად გადიწუგა. ხსენებულ გურგენიძეს სხვათა შორის დაეწვა ერთი წყვილი კამეჩი, ხოლო დიდ მეცადინეობამ სრულიად დაიხსნა ახლომახლო მცხოვრებნი, რის გამოც დიდი მადლობის ღირსნი არიან, როგორც პოლიცია, აგრეთვე ბ. გოვდალოვი თავის მოსამსახურებითურთ, რომლებმაც პოლიციის მოსვლამდისაც დიდი საშუალება იხმარეს თავიანთ ცეცხლის საქრობ მანქანით. ამ ორიოდე თვის წინად, როგორც ამბობენ, ხსენებულ გურგენიძის ხე-ტყის საწყობზე დაუჭერია ბ. გოვდალოვის დ... რაჯს ვიღაც ჯიბგირი, რომელი... ცეცხლის წაკიდებას აპირობ... თურმე.

— **ქურდობა.** ხსენებულ ცეც... ლის დროს „ვექილის ქუჩაზე“ გ... უტეხეს დუქანი პავლე კალმახ... ლიძეს, საიდანაც წაიღეს 9 მა... და 50 კაპ. იქვე მომუშავე მეჩე... მეს წყვილი წაღა მოჰპარეს. პო... ლიციამ რამდენიმე შენიშნულ... პირები შეიპყრო.

— **ქუჩის მოყიალე ბიჭ-ბუჭებ...** აქ ზოგიერთ ქუჩაში მეტათ გა... შირდა უქმად მოხეტიალე ვაჟბ... ტონები, რომლებიც ქუჩა-ქუ... აკრავენ ისეთ ხელნაწერ ქაღალ... დებს, რომლებშიაც რამდენიმე პ... ტიოსან ოჯახს ლანძღავენ. ურ... გო არ იქნება, რომ ასეთ ქუჩ... ბიჭბუჭებს ბოლოს მოუღებდნ... ვისგანაც ჯერ არს.

ანტონისშვილი

*** **დუშეთი. ქართული სას... ლიერო გალობა.** დუშეთს წინ-მ... ლელობა საკეთილდღეოთ თან... თან ეტყობა, დაიმეღიცაა ჩვენ... ჩამორჩენილმა მაზრა-ქალაქმა ზ... გიერთ თავ-მომწონე მაზრა-ქალ... ქებს გაასწროს.

ამ წლის დასაწყისში აქ დაარს... დიდის ხნის სანატრელი წიგნთ-ს... ცავი, საცა საწყალ ხალხს ავ-კ... რგის გასაგები მასალა მოეპოვ... და ეხლა კიდევ ერთმა სიკეთემ იჩ... ნა თავი: კნ. მარიამ სვიმონის ას... ლის ერისთავის მეოხებით და ... ვით პავლიაშვილის ლოტბარობ... აქ შედგა საეკლესიო გალობის ქა... ვაჟთა გუნდი და ამ კვირას უკ... იგალობეს კიდეც.

იგალობეს „კარბელაანთ“ ... ლოზე და რიგზე შეწყობილმა ხმ... ბმა გალობა სასიამოვნო და გ... ლის-მოსადგინე გამოიყვანეს, მლ... ცვლებზე უფრო სასიამოვნო ... გავლენა იქონია ლოცვებმა: „... წამს ერთი ღმერთი“ „შენ ხარ ... ნახი“ და „ოსანა მაღალთა შინა... ბლაღოჩინმა მღვდელმა მეტრ... ლმა მადლობა გადაუხადა მღვ... სახლის კეთილის მოსურნეებ... აღნიშნა, რომ ამ ნაირი მოვლ... ღვთისა და კაცის სასიამოვნოა ... ღმერთმან ქნას დღეგრძელიო.

*** **გუდაუთი** (აფხაზეთი) **ქიმობა და აგადმყოფობა.** მთე... დედამიწის ზურგზე არა მგონ... რომ მოიძებნოს. ევრე მიყრუე... ლი და უპატრონო კუთხე როგ... რათაც გუდაუთია, მადლ... ღმერთს თუმცა ბევრი სხვაც ... ბია ნაკლულოვნება, მაგრამ, ... ლაზე შესამჩნევი და სიყურად... ბოა, აქაურ მკვიდრთა გულ-უ... ყვილო საქციელი. აქ აფხაზ... შეადგენენ 20—25 ათას მცხ...

...ს, რომელიც აქამდე უექიმოთ ...თრევენ თავიანთ ხვედრს, სა...მარს სიკვდილით. მართალია ...მებს საზოგადოთ სძულთ სოფ...ლ ცხოვრება, რისთვისაც ეტა...იან ქალაქებს და დაბებს ზო...რთგან იმისთანა დაბებში დაბი...დებიან, რომ უკანასკნელ სო...ფსაც არ შეედარების, მაგრამ ...რეელიც ის არის გუდაუთის ...მ რა დაამავა, რომ ერთი ხეი...ნი ექიმის ღირსიც ვერ გამ...რა. აბა რა ქმნას, საბრალო ...მა გაჭირვების დროს, ვის უნ...მიმართოს. თუმცა აფთიაქი კი ...ს, მაგრამ არც იმას ადევს, სი...ცხლის ფერი. შედის აფხაზი ...იაქში და ხელით ანიშნებს, ...მყოფს ყელი თუ სტკივა ყელ... დაიდებს ხელს ან გული ან ... რაც სატკივარი ექმნება, იმ ...გას ხელით ანიშნებს, და აფ...არიც რა თქმა უნდა წამალს ...მზადებს ფული უნდა გამოარ...ს, მაგრამ აფთექარს აფხაზუ... არა ესმის რა და აფხაზმა რუ...ლი ხომ არ იცის და არა, ამი...მ აფთექარიც ამავე მანქანებით ...თებს დაისველებს და ერთ მა...ს წაუსვავს, რითაც ანიშნებს ...ლიო. მერე თითს აჩვენებს ერ... მანეთიო და ან სხვა. ამ ნაი...თ მიდის აფხაზი ვითომ და ექიმ...ნ იყო, წამალი იყიდა და ავად...ფს უშველის. მაგრამ ანთების ...ლის მაგივრათ ადვილი შესა...ებელია უბრალო რამ ეყიდ...ს. ამ ნაირათ მიდის დღეს მთე... 25 ათასი ხალხის ცხოვრება. ...ა შესაძლებელია აფთექარმა ...ცეპტიც დასწეროს და წამალიც ...ამზადოს? როდესაც მუნჯივით ...თებით ანიშნებენ ერთი მეორეს. ...ტომაც აფხაზებმა რო ვერა ...წყვეს, მიმართეს სოფლის მკით...ვებს, სადაც უარესი ემართებათ.

— მკითხავის შესახებ. დამწვარ... მდუღარეც გადაესხათ რომ ...ყვიან, სწორედ ეს არის, მკით...ვები მატყუარობით ფულს აგ...ოვებენ და ავადმყოფი თუ გინ... მეორე დღესვე გამოესალმოს ...თის სოფელს, მაგრამ უკანასკ...ლმა უფრო გავლენა იქონია ...ლხში ვინემ აფთექარისამ, რად... მკითხავებს უამბობენ ხოლმე ...ვიანთ გაჭირვებას თავიანთვე ...ზე. რომ ექიმი დაენიშნათ, აქ ...დაუთში და აფთექაც, მთავრო...ბაც ნება დართო, მაგრამ ჯერ...ერობით მარტო მოლოდინში ...თ და მეტი არაფერი, იქმნეს ...ესმე ჩვენი თხოვნა სისრულე...ში მოყვანილი, მაგრამ მანამდის ...ორი გაგვერევა თავში.

## წმ. მოწამენი ბიძინა, ელისბარ და შალვა. *)

ღვაწლით შემოსილნო უძლისანო, ნეტარ არს მიწა, რ მელი განიპოხა სისხლითა თქვენითა და წმიდა სამარხო იგი, რომელთა შეიწყნარეს გვამნი თქვენნი, რამეთუ სტადიონთა მას შინა მტერი მოაძლურეთ, და ქრისტე ღმერთი ქადაგეთ, მას ვითარცა სახიერსა ევედრენით, შეწყალებად სულთა ჩვენთა.

(ტროპარი 18-ს სექტემბერს),

წარსდგნენ უკანასკნელად მტარვალნი ბიძინას წინაც, აშინებდნენ, უქადდნენ მძიმე ტანჯვას, მაგრამ ეს ეუბნებოდა ჩემთვის დიდათ სასურველია მალე სიკვდილიო, ეგება ჩემს ამხანაგებს შეურთდე და მით სამების რიცხვს არ დავაკლდეო; თათართ იწყეს დაცინვა, წამოასხეს კუბასტა (ჩადრი), შესვეს ვირზედ და უბან-უბან ატარებდნენ; ბოლოს მოიტანეს მახვილი და ასო-ასო დასჭრეს—დაკეპეს; ჯერეთ ხელების თითები მოსჭრეს, მერე ფეხებისა, მოსჭრეს ხელები, მოსჭრეს ფეხები, კოჭები და მკლავები; ბიძინა ამ დროს ლოცულობდა, იმეორებდა „მრწამს“ და „მამაო ჩვენოს“, ათრევდნენ დაჭრილს დედამიწაზედ. თავი ამ დროს უვნებლად ჰქონდა და რაოდენიც კი შეეძლო ლოცვის ნიშნებს იძლეოდა. ერთმა მტარვალთაგანმა შენიშნა იმ დროს, როცა დედამწაზედ ათრევდნენ, რომ გული ბიძინასი ისევ ცოცხალი იყო და თრთოდა, წამოიძახა: „ჰხედავთ ჯერეთ ცოცხალი არს ლორი ესე, მისი გული იძვრისო დასცა ლახვარი გულში და წამსვე თავიც მოჰკვეთა.—ამ ნაირათ მწარედ ტანჯულ-წამებულ იქმნა ბიძინაც და შეიმკო წამებული გვირგვინით.

გვამნი წმიდათა მოწამეთა წვრილ-წვრილათ დაჭრილნი უპატიურად დაჰყარეს ცის ქვეშე და არავის არ შეეძლო და ვერცა ჰბედავენ შიშის გამო მიჰკარებოდნენ. იმ ღამეს ბრწყინვალე ნათელი დაადგათ წმიდათა გვამთა, რომელიც თითქმის ყველამ უაინახა. იმ ადგილზედ, სადაც წმიდა სისხლი დაანთხიეს, ყველგან სანთლები დაანთეს; ყველგან ნათელი ცხადათ კაშკაშებდა და იმათ, რომელთაც ეს საკვირველი ხილვა იხილეს, ღმერთს ადიდებდნენ და იძახდნენ: „დიდ არს ღმერთი ქრისტიანეთა და რომელთათვის მოიკვლნენო.“ ერთს უმთვარო და ბნელს ღამეს, ჩუმად მოვიდნენ, იმდროს, როდესაც ყველას ეძინათ, კეთილ-მორწმუნე სომეხ ქრისტიანენი და მოპარვით წაიღეს და თავიანთ ეკლესიაში დაკრძალეს და ისინი, რომლებიცკი საფლავზედ თაყვანის საცემლად მიდიოდნენ, იღებდნენ კურნებას, თუკი სარწმუნოებით შეევედრებოდნენ იმათ.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 773.

## სამეურნეო ცნობა

### მცენარეთა მეტყველება (ბოტანიკა)

(შემდეგი *)

**გირის-კუდა.** (ქართული) დუიკა (იმერული) კაპრიფოლ (რუსულად) ლონიცერა კაპრიფოლია (ლითონური) ეს მცენარე იზრდება ვაზის მგზავსად ე. ი. ვაზსავით იცის ახვევა, ამის გამო მას ხმარობენ ბესედკების და შენობების დასამშვენებლად. გვარობს ყველგან და ყველა ნიადაგზედ, ტყეში და მინდვრათ უფრო ქვიან ადგილებში. ყვავის თეთრ მოწითალო ფრათ, აქვს მშვენიერი სუნი. მის მასალას ხმარობენ სადურგლოში. მრავლდება: პატარ-პატარა ტოტებით, გადაწვენით და ფესვების გაყოფით, გაზაფხულობით და შემოდგომით.

**თრიმლი** (ქართული), ფუმელი (იმერ.), ნარნდჯაპაით (სომხური), სარაღან (თათრული), ჟელტინნიკ, ჩრაი დერევო (რუსული), რუსკოტინეს (ლათინური). ეს მცენარე გვარობს ყველგან და ყველა ხრიაკ ნიადაგზე, ამ მცენარის ფოთლებს როგორც საქართველოში, ისე რუსეთში და საზღვარ-გარედ ქვეყნებში აქვს დიდი მოთხოვნილება (დაბახნებში) ამ მცენარით შედგება დიდი ტყეები, ამისათვის რომელ ქვეყნებშიაც მოდის ეს სასარგებლო მცენარე, იქ გაჭირებულ ოჯახის შვილს არ უჭირდება ცხოვრება, რადგანაც თითო კაცს ყოველ წელიწადს შეუძლიან გაყიდოს ათი-ხუთმეტი თუმნის თრიმლი. ყვავის მოწითალო ფრათ ყვავილი მისი სანახავია, შორიდან კაცმა რომ ნახოს ეგონება დიდი თაიგულები ასხია მცენარესაო. ამისათვის ხშირად რგავენ ყვავილნარების და ეზოების დასამშვენებლად; მრავლდება: თესლით და გადაწვენით გაზაფხულობით და შემოდგომობით.

**თუთუბო** (ქართული), აგთორ (სომხური), სუმახ (თათრული), კოჟევენნოე დერევო (რუსული), რუს კორიარია (ლათინური). ეს მცენარე გვარობს ყველგან მთებში ხრიაკ ადგილებში და ზოგიერთ ადგილებში მინდვრათაც. მის მჟავე ნაყოფს ოჯახებში (მეტადრე სათათრეთში) აქვს დიდი მოთხოვნილება, ასე რომ უამისოთ წვადს არა სჭამენ; გარდა ამისა მის ნაყოფს ხმარობენ ძეხვებში, ტოლმაში და სუფში. ნაყოფს ან კარგათ ახმობენ მზეზე ან ცეცხლზე, მერე ფქვამენ ხელსაფქვავში ან ნაყავენ, შემდეგ ატარებენ საცერში და ისე ხმარობენ. ნაყოფი წითელი ფერისაა, მობრტყელოა, ზემოდან აყრია წვრილი ბურუსი. ყლორტები და ტოტები მთლად შემოსილნი არიან პატარ-პატარა მტევნებით. როგორც ფოთლებს, ისე ნაყოფს ხმარობენ აფთიაქებშიაც, გარდა ამისა ფოთლებით და ყლორტებით ამზადებენ შავ საღებავს, ნაყოფით კიდევ წითელ საღებავს (краски). მრავლდება: თესლით და ფესვების გაყოფით, ბლარტებით გაზაფხულობით და შემოდგომობათ.

არჩილ დარეჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

*) იხ. «ცნობ. ფურც.» № 771.

## ყურმოკრული საუბარი

ჟუსტიმ (დიდი ტანის კაცმა) წერილი მისწერა თავის ნაცნობს (ძრიელ პატარა ტანის) და ცხენი სთხოვა. ნაცნობმა ცხენი არ ათხოვა და მისწერა: „უკაცრავად ვარ, მაგრამ ჩემი ცხენი საჯალნეში არ მყავს ჯერ გახედნილით“.

—

ექიმთან ერთი ქალი მივიდა და თავის ავადმყოფობა შესჩივლა.

ექიმმა გულ-მოდგინედ გასინჯა და შემდეგ უთხრა:

— აბა, ენა გამოყავითო!

ქალმა ენა ოდნავ გამოყო.

— კიდევ!

ქალმა უფრო მეტად გამოყო.

— კიდევ! —სთხოვა ექიმმა.

იმანაც მოუმატა.

— კიდევ!...

— ღმერთო ჩემო, რათა გგონიათ, რომ ქალის ენის სიგრძეს ბოლო არა აქვს! — წყრომით უთხრა ქალმა ექიმს და პირი მოკუმა.

## გასართობი

—

ცალთვალი კაცი წაეჩხუბა ორ თვალიანს, რომ ის უფრო ნაკლებ ხედავდა, ვიდრე ცალთვალიანი.—მერე როგორ?—როგორ და ისე, რომ თქვენ ხედავთ ჩემს ერთ თვალს და მე კი ორივე თქვენს თვალებს ვხედავო!

—

ჩემმა ცოლმა დღეს დაბადა,—უთხრა მეზობელმა მეზობელს,—აბა გამოიცანი, ვინ? ვაჟი?—არა!—ქალი?—ეხლა კი მიხვდით!.. უშვილდია, ვინმე გეტყოდათ!

## წვრილი ამბავი

—

ქალის სილამაზის გამოფენა და შეცილება. საფრანგეთის გაზეთი „ჟილ ბლაზი“ მსოფლიო გამოფენის დროს პარიზში გამართავს უცნაურ გამოფენას—ლამაზი ქალების შეცილებას, რომელშიაც მონაწილეობის მიღება შეეძლებათ ყველა ქვეყნისა და

კროვნების ქალებს. პირველი ჯილდო დანიშნულია ყველაზე უფრო ლამაზი ქალისათვის. ჯილდოთ მიეცემა 2500 მანათი და იმდენისავე მორთულობა და სამკაულები. მეორე ჯილდო 2000 მან., მესამე—1000 მან. ამათ გარდა იქნება კიდევ მეორე ხარისხის ჯილდო, ათამდეა. სილამაზის დამფასებლად და ჯილდოს მისასჯელად არჩეულ არიან ცნობილი არტისტი ქალი სარა ბერნარი, მხატვრები ჟნერი და ბენარი, პოეტი მენდესი, მექანდაკე როდენი და ფილტიერი, მწერლები და მუსანიშნავი მკერვალები დაურე და რედფერი.

## შემომწირველთა სია კავკასიის ქართული ეკკლესიისთვის 1898 წ.*)

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| 109) მიხ. გიორგობიანმა | 5 | „ „ |
| 110) ექიმმა გეინიკმა . | 3 | „ „ |
| 111) გიორგი განზიელმა. | 2 | „ „ |
| 112) ალექსანდრე გუნდიევმა | 2 | „ „ |
| 113) ლევან გორდელაძემ . | 2 | „ „ |
| 114) ვარლამ გომელაურმა . | 2 | „ „ |
| 115) თავ. გრუზინსკიმ . . | 1 | „ „ |
| 116) გიორგი გათენოვმა . | 1 | „ „ |
| 117) ვანო გერგეშელიძემ. | 1 | „ „ |
| 118) პეტრე გურგენიძემ . | 1 | „ „ |
| 119) სილიბისტრო გიორგობიანმა . . . | 1 | „ „ |
| 120) ვალერიან გუნიამ . | 1 | „ „ |
| 121) სოსიკო გოგნიევმა . | 1 | „ „ |
| 122) ვასო გალუსტოვმა . | 1 | „ „ |
| 123) ტ. გრიშინმა . . | 1 | „ „ |
| 124) პ. გედერზიევმა. . | 1 | „ „ |
| 125) მღ. ბართ. გარსიევმა | 1 | „ „ |
| 126) იობა გიგაურმა და ტ. არგანაიძემ . . | 1 | „ „ |
| 127) თედორე დუდუშაურმა | 1 | „ „ |
| 128) დავით დუკასოვმა . . | 1 | „ „ |
| 129) დუარ. გიორგობიანმა | 1 | „ „ |
| 130) მიხეილ გოლიკოვმა | „ „ | 75 |
| 131) პავ. ალ. გაბუჩიამ . | „ „ | 50 |
| 132) თომა გოქაძემ . . | „ „ | 50 |
| 133) ალექსი დიდებაშვილმა | 30 | „ „ |
| 134) იოსებ დოლენჯოვმა | 25 | „ „ |
| 135) იოსებ დავითაშვილმა | 20 | „ „ |
| 136) მალხაზ ჯავახიშვილმა | 10 | „ „ |
| 137) ტატო დათიაშვილმა | 5 | „ „ |
| 138) გიორგი ჯონჯოლაძემ | 5 | „ „ |
| 139) იასონ ჯამუთოვმა . | 3 | „ „ |
| 140) კონსტან. დუმბაძემ . | 2 | „ „ |
| 141) აბელ დავიდოვმა . . | 1 | „ „ |
| 142) იაგორ დოლაბერიძემ | 1 | „ „ |
| 143) მღ. ზაქ. დავიდოვმა | 1 | „ „ |
| 144) სიმონ ნიკ. დოვინმა | 1 | „ „ |
| 145) საბა ჯაჭვაძემ . . . | 1 | „ „ |
| 146) ნოდარ ჯორჯაძემ . | 1 | „ „ |
| 147) დიმიტრი ჯუმუხაძემ | 1 | „ „ |
| 148) გიორგი ჯუმუხაძემ . | 1 | „ „ |
| 149) ლევან დაშიამ . . | 1 | „ „ |
| 150) მიხეილ ძიძოევმა . | 1 | „ „ |
| 151) ზაქ. დელიბაშევმა . | 1 | „ „ |
| 152) გ. ჯაფარიძემ . . | 1 | „ „ |
| 153) ილ. დიდიაშვილი . | 1 | „ „ |
| 154) ნინო დოლინჯევმა . | „ „ | 60 |
| 155) ლავრენტი დუმბაძემ | „ „ | 50 |
| 156) ნიკ. დომჩენკომ . | „ „ | 50 |
| 157) მღ. დ. დეკანოზოვმა | „ „ | 50 |
| 158) სიმონ ჯაფარიძემ . | „ „ | 50 |
| 159) ალექსი ჯაყელმა . | „ „ | 20 |
| 160) ისიდორე და ევსტ. ელერდაშვილებმა . . | 105 | „ „ |
| 161) სტეფან ელიაძემ . | 25 | „ „ |
| 162) გაბრიელ ელერდაშვილმა . . . . | 10 | „ „ |
| 163) იასე ელიოზოვმა . | 5 | „ „ |
| 164) ივანე ევტეროვმა. | 5 | „ „ |
| 165) ალექ. ელიზბაროვმა | 1 | „ „ |
| 166) მელანია ევლახოვა | „ „ | 50 |
| 167) ლევან ჟურულმა . | 10 | „ „ |
| 168) ლად. იაგ. ზიპალოვმა მაკლესიის სურათ. სადებავი | 25 | „ „ |

(შემდეგი იქნება)

*) იხ «ცნობ. ფურც.» № 775.

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

15 მარტი.

**სტამბოლი.** გაიგაში განზრახულ კონფერენციის დელეგატებად ოსმალეთის მხრივ დანიშნულნი არიან: გარეშე საქმეთა მინისტრის მთავარ-მდივანი ნურიბეი, სულთანის სამხადრო კანცელარიის უფროსის თანაშემწე, დივიზიის გენერალი აბუჩ-ფაშა და კონტრ-ადმირალი მაჰამედ-ფაშა მთავარ დელეგატად იქნება გარეშე საქმეთა მინისტრად ნამყოფი ტურხან-ფაშა იქმნას დანიშნული.

**რომი** ინგლისის სალამანშე ესკადრა, რომელიც 14 სამხედრო გემისაგან შესდგება დი რომელთაც უფროსობს ადმირალი რონსონი, 5 (17) აპრილს მივა კალიარში და იტალიის სამფლობელო წყლებზედ მთელს თვეს დარჩება.

დეპუტატები მარტინო და სანტინი პალატას შეეკითხნენ ინგლის-საფრანგეთის მორიგების შესახებ, მორიგებისა, რომელმაც საფრანგეთი ტრიპოლის მფლობელად აქცია.

16 მარტი

**პეტერბურგი.** შინაგას საქმეთა მინისტრმა დაადგინა: აღკრძალოს გაზ. „Пріаз. Край“-ს ცალკე ნომრების გაყიდვა.

**ხარკოვი.** გუშინ, ღამე, ხარკოვო-ნიკოლაევის რკინის გზაზედ სახალხო მატარებელში, სადგურ „გოლეშინოს“ მახლობლად, რევოლვერით მოჰკლეს უფროსი კანდუქტორი გნოევსკი. ეჭვი მიიტანეს სამ უბილეთო მგზავრზედ, რომელნიც შეიპყრეს კიდეც.

**პარიზი.** საკასაციო სასამართლომ, ყველა პალატთა შეერთებულ საკრებულოს თანადასწრებით და მაზოს თავმჯდომარეობით, შეუდგა ხალხის დაუსწრებლად დრეიფუსის საქმის საიდუმლო „dossier“ განხილვას. „dossier“-ი სამხედრო სამინისტროდგან მიიტანეს გენერალმა შანუანმა და კაპიტანმა კიუინიემ.

**ტანჟერი.** აქ მოვიდა რუსეთის სამხედრო გემი „გროზიაშჩი“, რათა წაიყვანოს რუსეთის საელჩოს წევრნი მაროკანში მართკას ლთანთან.

**პარიზი.** გარდაიცვალა აფრიკის მკვლევარი მიზონი, რომელიც ამას წინად დანიშნულ იქმნა ბუტის გუბერნატორად.


# განცხადებანი

Открыта подписка на 1899 г. на
два еженедѣльные иллюстрированные журнала для дѣтей и юношества

## ЗАДУШЕВНОЕ СЛОВО

основанные С. М. Макаровою и издаваемые подъ редакціею И. Х. Вессел...
XXIII-й годъ изданія

„ЗАДУШЕВНОЕ СЛОВО“ въ 1899 году, по примѣру прежнихъ лѣтъ, буде... выходить въ двухъ совершенно самостоятельныхъ изданіяхъ:

**I. «ЗАДУШЕВНОЕ СЛОВО»**
журналъ для дѣтей младшаго возраста
(отъ 5 до 10 лѣтъ).

✦ Подписчики на „Задушевное Слово“ для дѣтей младшаго возраста въ теченіе 1899 года получатъ: 52 №№ богато иллюстрированнаго журнала „Задушевное Слово“ и премію: большую олеографическую картину „Попроси Хорошенько“ а также „Библіотечку Задушевнаго Слова“, въ составъ которой войдутъ четыре книжки съ раскрашенными и черными картинками въ оригинальномъ форматѣ: 1) „На Досугѣ“, 2) „Дѣтскія Пѣсенки“, 3) „Мальчикъ съ Пальчикъ“ и 4) „Дѣвочка съ Башмачками“.—Въ каждомъ номерѣ журнала будетъ помѣщена какая-нибудь игра или занятіе для дѣтей, юмористич. рисунки и пр. Журналъ печатается крупнымъ шрифтомъ.

**II. «ЗАДУШЕВНОЕ СЛОВО»**
журналъ для дѣтей старшаго возра...
(отъ 10 до 14 лѣтъ).

✦ Подписчики на „Задушевное С... во“ для дѣтей старшаго возраста въ ... ченіе 1899 года получатъ: 52 №№ бог... иллюстрированнаго журнала „Задушев... слово“ и премію: „Календарь“ съ спра... никомъ Для Учащихся“ въ перепл. ... 1898—99 учебный годъ, а также 52 ... пуска „Библіотеки Знаменитыхъ Писа... лей Для Юношества“, въ составъ ко... рой войдутъ слѣдующія сочиненія: 1) „О... крытіе Америки“, А. Е. Разина съ ил... 2) „Исторія Маленькаго Человѣка, ... Додэ, съ иллюстр., 3) „Послѣдній изъ М... гиканъ“, Ф. Купера, съ рис. Андріол... и 4) „Пертская Красавица“, Вальте... Скотта, съ иллюстр.

✦ Кромѣ того, при каждомъ изданіи журнала «Задуше... наго Слова» будутъ разсылаться особыя приложенія для роди... телей: „Педагогическій Листокъ» и «Дѣтскія Моды».

✦ Подписная цѣна каждому изданію «Задушевнаго Сло... ва» (по выбору подписчиковъ), со всѣми преміями и прилож... ніями, съ доставкою въ С.-Петербургѣ и съ пересылкою во в... мѣста Россійской имперіи—6 рублей; за-границу—8 рублей.

✦ Допускается разсрочка платежа на три срока. По ... рубля: 1) при подпискѣ, 2) къ 1-му февраля 1899 г. и 3) къ 1-му мая 1899 г.

✦ *подписной годъ съ 1-го ноября* 1899 *годъ* ✦

Подписка принимается въ книжныхъ магазинахъ **товарищества М. О. Вольфъ.**

С.-Петербургъ, Гостиный дворъ, № 18. ✦ Москва, Кузнецкій мостъ № 12

(6—6)

Подписка на 1899 годъ

## РУССЪ 4 руб. въ годъ съ пересылкой.

ежедневная газета и еженедѣльный

**„Иллюстрированный Листокъ“ 2** Рубля въ го... съ пересылко...

Издаваясь при «Недѣлѣ», въ одномъ съ нею направленіи, и служа суще... ственнымъ ея дополненіемъ, «Русь» въ то-же время представляетъ собою сам... стоятельный, полный ежедневный органъ, имѣющій цѣлью,—благодаря участ... выдающихся литературныхъ силъ,—доставить интеллигентнымъ читателямъ п... общедоступной подписной цѣнѣ вполнѣ литературную и серьезную газету.

| | | | |
|---|---|---|---|
| **„НЕДѢЛЯ“** | еженедѣльная общественно-политическая газета | **9** Руб. въ годъ съ перес. | **Всѣ четыре изданія 15** р. въ го... съ перес... |
| **„КНИЖКИ НЕДѢЛИ“** | ежемѣсячный литературный журналъ | | |

**Допускается широкая разсрочка**

*Подписка принимается:* въ С.-Петербургѣ, въ конторѣ редакціи «Недѣли» и «Руси», Литейный, 9.

Ближайшіе сотрудники: Я. В. Абрамовъ, проф. Н. П. Вагнеръ, П. Гнѣдичъ, прив.-доц. В. М. Грибовскій, В. Л. Дѣдловъ, М. Н. Мазаевъ, М. О. Меньшиковъ, П. Е. Накрохинъ, Владиміръ Соловьевъ, акад. И. И. Янжулъ и многіе другіе.

Редакторъ-издатель «Недѣли», издатель «Руси» *В. П. Гайдебуровъ*

(8—12) Отвѣтственный редакторъ «Руси» *М. В. Головинскій*


Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Мартъ 1899 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (გ. ც[illegible]), რედაქტორ-გამომცემელი შ. [illegible]